საფინასო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კომისიას გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

1. 2016 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული „0-18 წლამდე ეპილეფსიით დაავადებულთა პროგრამით განკუთვნილი თანხა რატომ არ ანაზღაურდა 2016 წელს გამგებლის ბრძანების საფუძველზე ერთერთი ბენეფიციარისთვის და როგორ აუნაზღაურდა იგი 2017 წელს, მაშინ როცა არსებობდა არაერთი ასეთი შემთხვევა.

2.შრომის ანაზღაურების მუხლში 65,0 ათას ლართან დაკავშირებით. 2016 წლის გეგმით დამტკიცებული იქნა 106 საშტატო ერთეული, რომელიც დოკუმენტალურად, ფინანსური უზრუნველყოფით არის წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცდა 130 საშტატო ერთეული. განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ დანიშნული შტატების ფინანსური უზრუნველყოფა მოხდება გამგეობის ბიუჯეტში საქონელი და მომსახურების მუხლიდან ჩატარებული ტენდერების შედეგად გამოთავისუფლებული თანხის ხარჯზე, რაც არასწორია. მათ შორის დანიშნულ 7 ერთეულ შტატზე არ არსებობდა ფინანსური უზრუნველყოფა და ხელფასების გაცემა მოხდა შრომის ანაზღაურების საერთო ხარჯიდან, რამაც წლის ბოლოს გამოიწვია სახელფასო დეფიციტი. წარმოდგენილი ცვლილების განმარტებითი ბარათის გაცნობის შემდეგ, კომისიამ მოიკვლია აპარატში არსებული ინფორმაცია და დაადგინა: წარმოდგენილი დეფიციტი გამოწვეული იქნა სახელფასო ფონდის არასწორად ხარჯვით. დროულად არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი პროექტი ფინანსური უზრუნველყოფით, შესაბამისად ვერ იქნებოდა განხილული საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის მიერ და არ მოხდა ცვლილების განხორციელება ბიუჯეტში. სწორედ ეს გახდა მიზეზი ერთერთი კონკრეტული შედეგის, კერძოდ, 2017 წლის ბიუჯეტში სოციალური პროგრამები შემცირდა დაახლოებით 30 ათასით და აღნიშნული თანხა მიიმართა მუხლში „საქონელი და მოსახურება“, რამაც რეალურად არამომგებიან მდგომარეობაში ჩაგვაყენა.

3. მიზნობრივი ტრანსფერი ლტოლვილთა შეშით უზრუნველყოფა. რატომ არ იქნა ის ათვისებული 2016 წელს და როგორ იქნა მიზნობრივი ტრანსფერი ვალდებულებაში აღებული 2017 წლის ბიუჯეტში.

4. რატომ და რის საფუძველზე იქნა აღებული ვალი 81 ათასი რომელიც ავიღეთ ვალდებულებებში და დააწვა 2017 წლის ბიუჯეტს ზედმეტ ხარჯად.

5. 2016 წლის 9 თვის ანგარიშთან დაკავშირებით---ჩვენ ვეყრდნობით წარმოდგენილ მასალას. 9 თვის ანგარიშში იყო წარმოდგენილი გამართული კვარტალური ხარჯვა და დაახლოებით ერთ თვეში აღმოჩნდა, რომ მუხლები იყო გადახარჯული და მეტიც, ოქტომბრიდან ბუღალტერიაში გადარიცხვის ქმედება ფაქტიურად არ განხორციელებულა.

6. სამწუხაროდ არაერთგზის გვიწევს მითითება ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რაც გამოწვეულია ელოქტრონული პროგრამის არარსებობით, რაც

დასტურდება აუდიტის დასკვნით, ამიტომ კომისიას მიაჩნია, რომ შევიმუშავოთ პროექტი მეტი გამართულობის მიზნით.

7.მიზნობრივი ტრანსფერი გამოგვეყო 183.0 ათასი ლარი. ხაზინის მიხედვით ათვისებული ციფრია 167.0 ათასი, სად მიიმართა და რა სამართებლივი საფუძველი დაედო 16.0 ათასი ლარის მუხლიდან გადატანას.

8. საგაზეთო სტატია ვალის არსებობის შესახებ არის თუ არა გადახარჯვის აღიარება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია იმედს გამოთქვამს, რომ არსებულ შენიშვნებთან დაკავშირებით მოხდება შესაბამისი პროფესიული რეაგირება მეტი გამართულობის მიზნით.